# საქართველო
# ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# GEORGIA
# CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ბრძანება:№97.97230721

თარიღი:13/03/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულში (აპარატში) მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე შიდა კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31 -ე მუხლის 1-ლი პუნქტის, კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N-412 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო მოხელეტა კონკურსის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-12 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს შიდა კონკურსი ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულში (აპარატში) მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (ბიუჯეტის დაგეგმვის უფროსი სპეციალისტი) ვაკანტურ თანამდებობაზე.

2. თანამდებობრივი სარგო 1452 (ათას ოთხას ორმოცდაათორმეტი) ლარი.

3. კანდიდატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები:

   ა) საჯარო სამსახურში ფინანსური მიმართულებით მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება;

   ბ) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

   გ) საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მინიმალური ცოდნა.;

   დ) პროფესიული ცოდნის მოთხოვნები.

4. განცხადების წარსადგენად განისაზღვროს 15 დღიანი ვადა - 2023 წლის 6 მარტიდან 22 მარტამდე. ელექტრონულ მისამართზე www.hr.gov.ge.

5. შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართი: თამარ მეფის ქ. N-24. ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები გავრცელდეს მიმდინარე წლის 6 მარტიდან .

გიორგი გაბდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**G E O R G I A**

**CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY**

---

ბრძანება:№7. 97230453

თარიღი:14/02/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკონკურსო კომისიის შექმნის და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკონკურსო კომისია და კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

2. დაევალოს კომისიის თავმჯდომარეს უმოკლეს ვადაში განსაზღვროს და წარმოადგინოს კომისიის შემადგენლობა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გაბდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

# საქართველო
# ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# GEORGIA
# CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ბრძანება:№97. 97230461

თარიღი:15/02/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკონკურსო კომისიის

შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკონკურსო კომისის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგის მიხედვით:

   1. მაყვალა ჩანქსელიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი- საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;

   2. ლამზირა გუგავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

   3. ნინო ცხომარია - HR (ადამიანური რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტი) - კომისიის წევრი;

   4. ტარიელ აფაქიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის უფროსი - კომისიაში მოწვეული წევრი;

   5. ნაირა ლიპარტელიანი - საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსი სპეციალისტი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საკონკურსო კომისის სხდომის

ოქმი N-2

დ.ლენტეხი. 20/აპრილი/2023წ.

მიმდინარე წლის 20 აპრილს დღის 17 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის სხდომა.სხდომას ესწრებოდნენ:

1. მაყვალა ჩანქსელიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი- საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;
2. ლამზირა გუგავა - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. ნინო ცხომარია - HR (ადამიანური რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტი) - კომისიის წევრი;
4. ნატო გუგავა - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული სამსახურის საკრებულოსთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიაში მოწვეული წევრი;
5. ნაირა ლიპარტელიანი - საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსი სპეციალისტი.

კომისიის სხდომას ესწრებოდა კანდიდატი მთვარისა ლიპარტელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგში არის ერთი საკითხი:

1. საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულში (აპარატში) მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენა. მან აღნიშნა, რომ ამ პოზიციაზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით გამოცხადდა შიდა კონკურსი 6 მარტს. განაცხადების მისაღებად განისაზღვრა 15( თხუთმეტი) დღე - 22 მარტამდე. განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ, საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის უფროსმა სპეციალისტმა ნინო ცხომარიამ საკონკურსო კომისიას წარუდგინა შედეგები განცხადებების გადარჩევის თაობაზე. რაც დადასტურდა საოქმო ჩანაწერით და აღნიშნულ ოქმზე ხელი მოწერილი აქვს კომისიის ყველა წევრს. ოქმის თანახმად კონკურსის პოირველი ეტაპი იყო განცხადებების გადარჩევა. დაფიქსირდა მხოლოდ ერთი განცხადება- მთვარისა ლიპარტელიანის განცხადება, რომელიც ასრულებს აღნიშნულ პოზიციაზე მოვალეობას. ადამიანური რესურსების მართვის უფროსმა

სპეციალისტმა ნინო ცხომარიამ დაადგინა განაცხადის შესაბამისობა ფორმალურ მოთხოვნებთან.

კონკურსის მეორე ეტაპი არის გასაუბრება. კომისიის წევრებს შეგიძლიათ შეკითხვები დაუსვათ კონკუსში მონაწილეს.

2. აზრი გამოთქვა; კომისიის წევრმა ლამზირა გუგავამ - მთვარისა ლიპარტელიანი არის კვალიფიციური კადრი და მასზე დაკისრებულ მოვალეობას ( ბიუჯეტის დაგეგმვა) ასრულებს პირნათლად და მიაჩნია, რომ არ არის დამატებითი კითხვები აუცილებელი

3. კომისიის წევრმა - ნინო ცხომარიამაც აღნიშნა, რომ კითხვა არ აქვთ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მთვარისა ლიპარტელიანი არის ძალიან კარგი კადრი და აღნიშნულ პოზიციაზე დანიშვნა მისთვის იქნება დამატებითი მოტივაცია.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფასდება კანდიდატის შესაბამისობა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან და მისი პიროვნული უნარ-ჩვევები. შეფასება ხორციელდება ქულებით. შეფასების საბოლოო ქულა გამოითვლება ქულათა შეფასების შედეგების მიხედვით. მან კომისიის წევრებს დაურიგა გასაუბრების ს შეფასების ფორმები.

აღნიშნული ფორმების შევსების შედეგად აღმოჩნდა, რომ კანდიდატი მთვარისა ლიპარტელიანი შეფასდა 22,3- ქულით.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მთვარისა ლიპარტელიანის მეორე რანგის უფროსი სპეციალისთის პოზიციაზე წარდგენის თაობაზე.

ღია კენჭის შედეგით: მომხრე -5

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მთვალისა ლოპარტელიანის კანდიდატურა წარდგენილი იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის პირველად სტრუქტურულ ერთეულში (აპარატში) მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტის თანამდებობაზე.

კომისიის სხდომა დამთავრდა 14 საათზე

6. მაყვალა ჩანქსელიანი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

7. ლამზირა გუგავა - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

8. ნინო ცხომარია - კომისიის წევრი

9. ნატო გუგავა - კომისიაში მოწვეული წევრი

10. ნაირა ლიპარტელიანი - კომისიის წევრი

# საკონკურსო კომისიის

# გადაწყვეტილება

დ.ლენტეხი. 20 აპრილი 2023წ

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მთვარისა ლიპარტელიანი შეფასდეს 22,3 ქულით.

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N-204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის" შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულში (აპარატში) მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად წარდგენილი იქნას მთვარისა ლიპარტელიანი.

1. მაყვალა ჩანქსელიანი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე
2. ლამზირა გუგავა - - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
3. ნინო ცხომარია - კომისიის წევრი
4. ნატო გუგავა - კომისიაში მოწვეული წევრი
5. ნაირა ლიპარტელიანი - კომისიის წევრი

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**G E O R G I A**

**CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY**

---

ბრძანება:**№7. 97231211**

თარიღი:**01/05/2023**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულში (აპარატში)

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე მთავარისა ლიპარტელიანის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის , 43-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ებ :

1.მთავარისა ლიპარტელიანი დაინიშნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველად სტრუქტურულ ერთეულში (აპარატში) მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის პოზიციაზე.

საფუძველი:ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო კომისიის ოქმი N-2. 20/04/2023წ.

2. ბრძანება კანონით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში.

3. ბრძანება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი